# აქა ამბავი გენერალ გრაჩოვის
# გენიალური აღმოჩენებისა

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა ცინიკურად განაცხადა, ქართველები თვითმფრინავებს გადაღებავენ და საკუთარ ქალაქებს ბომბავენო.

გრაჩების ჭილყვავები
ყვავ=ყორანთა გუნდისანი;
გრაჩოვია ჭილყვავაძე,
გენერალი=გულთმისანი.

როგორ მიხვდა, ქართველები
თვითმფრინავებს ღებავენო,
სხვათა თვალის ასახვევად
საკუთარ თავს ბომბავენო!

მათ სოხუმიც დაანგრიეს,
ნახეს დიდი გამორჩენა, -
თქვენ უწოდეთ გვინნაღრძობი,
აქვს ასეთი აღმოჩენა!

ცოტა მარცხი განიცადა,
თუმცა ესეც ნათელია:
ჩანს, მფრინავიც დაღუპული -
შეღებილი ქართველია!

აკი ჩვენვე ჩამოვაგდეთ
რაკეტებით აღჭურვილი
"შეღებილი" თვითმფრინავი -
გრაჩის ურვა და წუხილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



"გრაჩებს" ჩვენთვის არც შუქი აქვთ,
არც სინდისი, არც იმედი,
ბრმა ჰგონიათ მსოფლიო და
საქართველოს არწივეთი.

ო, რუსეთო! ჩვენ თავს ვაღწევთ
ამ ბნელეთის ძალთა რიდეს,
მაგრამ შენ რა გეშველება
ასეთ ბრიყვთა გადამკიდეს?

თუ აქამდე ჩვენ გვებრძოდა
"თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი...",
დღეს ქართველიც გახდა მტერი
საკუთარი საუფლოსი.

სალდაფონმა ეს გზაც ნახა
ერის განადგურებისა,
და ღირსია დიდი პრიზის-
მიდას=მეფის ყურებისა!

აკაკი გელოვანი